ს/ნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

N: 0313/150/25

13/03/2025

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბ-ნ ირაკლი ჩიდრაშვილს
მის. ილია ჭავჭავაძის გამზირი 49ა

11.03.2025 #0311/407/25 (6/12395) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.14.16.012.085) მიწის ნაკვეთს კვეთს სს „თელასის" კუთვნილი 6კვ-ის საჰაერო ელ.გადამცემი ხაზი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ა.ა.ე და მუხლი 4, პუნქტი 2, ქვეპუნქტი გ; თანახმად საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1.საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის განაპირა სადენიდან ორივე მხარეს 3 მეტრზე ახლო მანძილზე აკრძალულია მრავალწლიანი ნარგავების გაშენება.

2.მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარე მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილებამდე არ უნდა იყოს 2 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით.

3.მშენებლობის დროს დაპროექტდეს და მოეწყოს დამიწების კონტური ელ.დანადგართა მოწყობის წესების შესაბამისად.

4.აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 6-10კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის).

5.სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (10 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს) ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის" შესაბამის სამსახურთან.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგ.
მოქალაქეთა მომსახურების სამსახური
შემოსვლის № 29357/03
"14" 03 2025 წ.
2 ფურცელ.

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი სამშენებლო სამუშაოების წარმოების, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორის მ.შ.

ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსის მ.შ. გ. პატარქალიშვილი
ტელ. 2 77 99 99 1(7959)